



ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის
ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის
ასოციაციის შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის
ასოციაციის დღის წესრიგის განხორციელების

**2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების
ანგარიში**

მარტი

2019

სარჩევი

1.	ზოგადი მიმოხილვა.....	3
2.	პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში	4
3.	თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება.....	12
4.	ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები	20
5.	ეკონომიკური თანამშრომლობა.....	27
6.	თანამშრომლობა სხვა სფეროებში.....	30
7.	ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი.....	45
8.	ინსტიტუციური თანამშრომლობა.....	46

1. ზოგადი მიმოხილვა

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2018 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

2018 წელს ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ორი სხდომა.

2018 წელს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის მიზნით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 5 ახალი კანონი¹ და 100-მდე საკანონმდებლო ცვლილება.

ფუნქციონირებს ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგის ელექტრონული პროგრამა და შესაბამისი ინტერნეტ-პორტალი (aa-monitoring.ge).

2018 წელს ქართული მხარის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში გამართულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში (პლატფორმებისა და პანელის შეხვედრები, სემინარები, ვორქშოპები, მინისტერიალი, კონფერენცია და სხვა).

საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი შესრულების მონიტორინგის პროცესში.

2018 წელს ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საჯარო მოხელეებისათვის ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები და სემინარები. ასევე, გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდა სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის წევრ და წევრობის კანდიდატ ქვეყნებში.

¹ საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“; საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“; საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

2.1 მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

სასამართლოში საქმეთა ნაკადის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად განსახილველ საქმეთა წრე გაფართოვდა. ასევე, განისაზღვრა სააპელაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეთა ჩამონათვალი.

საქმეთა ელექტრონული წარმოების პროგრამის ფუნქციონირებაზე ზედამხედველობის და მისი შემდგომი დახვეწის მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა მენეჯმენტის დეპარტამენტი.

ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით საერთო სასამართლოების სისტემაში დონორი ორგანიზაციების (EU4Justice, USAID/PROLOG, COE GIZ) მხარდაჭერით ჩატარდა IT აუდიტი. კვლევის შედეგების მიხედვით განისაზღვრება კონცეფცია და სტრატეგიული მიმართულებები ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის გაუმჯობესების საკითხებზე.

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან ჰარმონიზების მიზნით ცვლილებები შევიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებით განახლდა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნის წესი და კომისიის წევრობის პირობები, დაიხვეწა პროცედურული საკითხები და განისაზღვრა გამოცდის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი. განხორციელებული ცვლილებები სრულად აისახა ელექტრონულ სისტემაში, რომლის მეშვეობითაც გამოცდა ტარდება.

საერთო სასამართლოების მუშაობის შესახებ საზოგადოების სწორი და დროული ინფორმირების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საერთო სასამართლოების სპიკერ-მოსამართლეები - ოთხი სპიკერ-მოსამართლე თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო ექვსი სპიკერ-მოსამართლე თბილისის საქალაქო სასამართლოში. სპიკერ-მოსამართლეებისათვის ორჯერ (2018 წლის 16-20 ივლისს და 12-14 ოქტომბერს) ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ეფექტიანი კომუნიკაცია. საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სასამართლო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიის პროექტი.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სასამართლოს მოხელეებისთვის დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამა, რომელიც ფუნქციონირებს 2018 წლის 18 იანვრიდან.

მომზადდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს **2018-2019 წლების მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია**. სტრატეგიის დოკუმენტი მოიცავს პრობლემების, გამოწვევების, მედიაციის საკომუნიკაციო მიზნების, მიზნობრივი ჯგუფების, სტრატეგიებისა და ტაქტიკების შესახებ ინფორმაციას. სტრატეგიას თან ერთვის სამოქმედო გეგმა. მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოიწონა 2018 წლის 16 ივლისის სხდომაზე. 2018 წლის მეორე ნახევარში, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო და აღიჭურვა მედიაციის დარბაზები.

სასამართლო რეფორმის მე-4 ტალღის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა **მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები**. შემუშავდა ორგანული კანონის პროექტი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დახვეწის თაობაზე.

მომზადდა „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ“ 1965 წლის კონვენციისა და „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მტკიცებულებათა საზღვარგარეთ მოპოვების შესახებ“ 1970 წლის კონვენციის რატიფიცირების მიზნით **შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და აღნიშნული კონვენციების დებულებებზე დათქმებისა და დეკლარაციების პროექტები**.

მოსამართლეთათვის ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა თემაზე, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორცაა: დისკრიმინაციის აკრძალვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები, გენდერული საკითხები, საარბიტრაჟო წარმოება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებები და სხვა.

საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული პალატების დანერგვის მიზნით მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების კონცეფცია. ამჟამად მიმდინარეობს ცვლილებების განხილვა და მათში ასახული მთავარი პრინციპების შეჯერება. ასევე, გაფართოვდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კომერციულ საქმეთა განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის მიერ **განსახილველ საქმეთა ნუსხა**.

მოსამართლეთა, სასამართლოს მოხელეთა და სისტემის თანამშრომელთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, პარტნიორი ორგანიზაციების (USAID/PROLoG,

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პროექტები) მხარდაჭერით მომზადდა კვლევა სასამართლოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს კვლევის მეორე ფაზა, რომელიც მიზნად ისახავს მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების სასამართლოებში განაწილების შეფასებას, ასევე საქმეთა წონების განსაზღვრის გონივრული სისტემის შემუშავებას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის მიზნით **მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი**, რომელიც პარლამენტმა **2018 წლის მაისში მიიღო**.

საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელდა **ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის უზრუნველყოფის** მიზნით გამოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის“ პროექტის თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა კვლევა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სასამართლო პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების გამოყენების თაობაზე.

2.2 ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა მოახდინა გენდერული ნიშნით ჩადენილი 300-მდე დანაშაულებრივი ფაქტის იდენტიფიცირება და შესწავლა. გამომძიებლებისათვის შემუშავდა **სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ დანაშაულებზე** (ოჯახში ძალადობა, დევნა, ადევნება და სხვ.), რაც კიდევ უფრო აამაღლებს გამოძიების ხარისხს და უზრუნველყოფს მსხვერპლის რევექტიმიზაციის პრევენციას. ასევე, შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც 2018 წლის 28 დეკემბრიდან ამოქმედდა. კერძოდ: 1) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების თანახმად, მკვლელობა ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად თუ იგი ჩადენილია გენდერის ნიშნით. 2) 115-ე მუხლს (თვითმკვლელობამდე მიყვანა) დაემატა მე-2 ნაწილი, რომელიც დამამძიმებელ გარემოებებზე ითვალისწინებს გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენას; 3) 117-ე მუხლის (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) მე-5 ნაწილს დამამძიმებელ გარემოებად დაემატა გენდერის ნიშანი.

2018 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა შეაფასა და მონიტორინგი გაუწია ოჯახში ძალადობის მუხლით დაწყებულ 6000-მდე საქმეს. ამასთან, განხორციელდა 4000-ზე მეტი შემაკავებელი ორდერის მონიტორინგი. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე დაყრდნობით **შეიქმნა ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების მექანიზმი**. აღნიშნული ინსტრუმენტი გულისხმობს სპეციალური

კითხვარის არსებობას, რომელიც ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციის, ძალადობის განმეორების საფრთხეების წინასწარი განჭვრეტის და განმეორებითი ძალადობის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. ასევე, შემუშავდა **საკანონმდებლო პაკეტი**, რომლის მიზანია, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე მოძალადეებისათვის მკაცრი სასჯელის შეფარდება და **სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ მუხლებში გენდერის/გენდერული იდენტობის ნიშნის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა**. ასევე, შემუშავებულია 7-მდე რეკომენდაცია, რომელიც ეხმარება გამომძიებლებს მათი ყოველდღიური საქმიანობა და გამოძიების პროცესი გახდეს ეფექტიანი და სწრაფი.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა დისტანციური სწავლების კურსი რისკების შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებისა და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის საკითხებზე. დისტანციური სწავლების კურსი გაიარა პოლიციის 10 000-მა თანამშრომელმა.

ასევე, 2018 წელს შემუშავდა ოჯახში ძალადობის 5 დღიანი ტრენინგ მოდული და 2018 წლის განმავლობაში აღნიშნული ტრენინგის საშუალებით 120-მდე გამომძიებელი გადამზადდა. **ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით** საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორების მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა **30 ვიზიტი**.

დანაშაულის პრევენციის პროცესში ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებისა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით შეიქმნა 15 ახალი ადგილობრივი საბჭო.

2018 წლის განმავლობაში მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებით, კერძოდ, თავშესაფარში დროებითი საცხოვრისით ისარგებლა 412-მა პირმა. თავშესაფარში არსებული სხვა მომსახურებებით, კერძოდ: ფსიქო-სოციალური დახმარებით ისარგებლა - 296-მა პირმა, სამედიცინო მომსახურებით - 184-მა პირმა და სამართლებრივი დახმარებით- 135-მა პირმა. **კრიზისული ცენტრების მომსახურებით ისარგებლა 224-მა პირმა**.

2018 წლის მდგომარეობით, ძალადობის (ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის საკითხებზე) ცხელი ხაზის მომსახურებით ისარგებლა 1,822 პირმა. შემუშავდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის 2018-2020 წლების სტრატეგიისა და სამუშაო გეგმის პროექტი.

2018 წლის იანვრიდან სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ საქართველოს 6 რეგიონში განხორციელდა 110 საჯარო სკოლის მონიტორინგი. მთელი საქართველოს მასშტაბით სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტებთან ერთად ჩატარდა 43 მცირე საოჯახო ტიპის სახლის მონიტორინგი და რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონური ტიპის 8 დაწესებულების მონიტორინგი;

შემოწმდა სახელმწიფო მზრუნველობის სერვისებში - მინდობით აღზრდასა და რეინტეგრაციის მომსახურებაში ჩართულ 196 ოჯახში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა.

თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში წამების პრევენციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის (NPM) თანამშრომლების მიერ, განხორციელდა მონიტორინგის 33 ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებებში, 50 ვიზიტი პოლიციის სამმართველოებში, 26 ვიზიტი დროებითი მოთავსების იზოლატორებში და 12 ვიზიტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში; ასევე განხორციელდა 3 ვიზიტი მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგის მიზნით; 2 ვიზიტი შშმ პირთა თავმესაფარში და 37 ვიზიტი ბავშვთა სახლებში.

2018 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული იყო 1570 ბენეფიციარი (სახელობო, პროფესიული, კომპიუტერული, საგანმანათლებლო და სარეკრეაციო პროგრამებში).

პენიტენციურ სისტემაში განთავსებული ყველა ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილია რეკომენდებული სამედიცინო მომსახურებით. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, 2018 წელს სამოქალაქო სექტორის სპეციალიზებულ კლინიკებში განხორციელდა 4478 რეფერალი, ხოლო პენიტენციურ სისტემაში, სტაციონარული მომსახურების მიღების მიზნით, N18 და N19 დაწესებულებებში - 2892 რეფერალი. სუიციდის პრევენციის პროგრამაში 2018 წლის განმავლობაში ჩართული იყო 150 ბრალდებული/მსჯავრდებული. რაც შეეხება სასჯელის მოხდის ადგილას სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფას, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმების მიერ, 2018 წლის განმავლობაში ადგილზე გაეწიათ 71165 კონსულტაცია.

მსჯავრდებულთა უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის N16 დაწესებულებაში 2018 წელს სწავლობდა **13 სტუდენტი** (12 ბაკალავრი, 1 მაგისტრატურა; 4-მა შეწყვიტა სწავლა).

საანგარიშო პერიოდში 7-მა მსჯავრდებულმა ჩააბარა ეროვნული გამოცდები. 2018 წლის 21 მარტს მიღებულ იქნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N72 „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების წესისა და პირობების და შესაბამის სპეციალობათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“.

2018 წელს, ჰააგის 1980 წლის კონვენციის იმპლემენტაციის გაუმჯობესების მიზნით, **შემუშავდა ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილება/დაკავების საერთაშორისო საქმეებზე სარეკომენდაციო სახელმძღვანელო** (პრეზენტაცია გაიმართა 2018 წლის 14 თებერვალს).

შემუშავდა ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილება/დაკავების საერთაშორისო საქმეებზე მიმართვიანობისა (რეფერირების) და აღსრულების პროცედურების პროექტი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად. ცვლილებების დამტკიცების შემდეგ რეფერირებისა და აღსრულების მექანიზმი დამტკიცდება მთავრობის დადგენილებით.

საანგარიშო პერიოდში საქართველომ ჰააგის 1980 წლის კონვენციის 38-ე მუხლის საფუძველზე დამატებით ორ სახელმწიფოსთან დაამყარა ორმხრივი ურთიერთობა - რუმინეთთან და ლუქსემბურგთან.

თავდაცვის სისტემაში, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფარგლებში, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები როგორც ინსტიტუციური (გენდერული მრჩევლის საქმიანობის ინსტიტუციონალიზაცია), ისე საგანმანათლებლო მიმართულებით.

2.3 საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციასთან ბრძოლა

საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში 2018 წლის მაისში დამტკიცდა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“, „პროფესიული საჯარო მოხელის მიერ პროფესიული განვითარებისათვის შვებულებით სარგებლობის წესისა და პირობების შესახებ“ და „პროფესიულ საჯარო მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარების წესისა და თემატიკის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებები. უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით გრძელდება პროფესიულ საჯარო მოხელეთა სწავლების სისტემის ჩამოყალიბება.

2018 წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევის მიზნით **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით** დამტკიცებული „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის“ შესაბამისად, 2018 წლის 9 თებერვალს სპეციალური ელექტრონული სისტემის დახმარებით შეირჩა 2018 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით არსებული დეკლარაციების 5 % - 320 დეკლარაცია. გარდა ამისა, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, 2018 წლის განმავლობაში, მონიტორინგი დაიწყო 73 დეკლარაციაზე. ამასთანავე, მონიტორინგი გაგრძელდა, ასევე, წინა წლის განმავლობაში, განცხადებების საფუძველზე დაწყებულ და მიმდინარე შემოწმებებზე, რომელთა რაოდენობაც შეადგენდა 55 დეკლარაციას. ჯამურად, 2018 წლის განმავლობაში შემოწმდა 448 დეკლარაცია. შემოწმებული დეკლარაციებიდან უარყოფითად შეფასდა 379 დეკლარაცია, მათ შორის არაარსებითი დარღვევა გამოვლინდა 31 დეკლარაციაში და დეკლარანტებს მიეცათ გაფრთხილება, ხოლო ერთი დეკლარაცია შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა

სამართალდამცავ ორგანოებში, დადებითად შეფასდა 59 დეკლარაცია, 10 დეკლარაციაზე შეწყდა წარმოება.

2018 წელს, გასული წლების მსგავსად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სამოხელეო და კორუფციული დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებას. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში პროფესიული შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სპეციალური გადამზადების პროგრამის ფარგლებში, მომზადდა სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს 17 მოსამსახურე. ამასთან, სამსახური აქტიურად მუშაობდა კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ კონფერენციაში, ტრენინგში, სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2.4 თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (FRONTEX) თანამშრომლობის ახალი სამუშაო შეთანხმების ტექსტზე მოლაპარაკებები დასრულებულია. ევროკავშირის შიდა პროცედურების დასრულების შემდგომ ხელი მოეწერება აღნიშნულ შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს არსებული თანამშრომლობის გაღრმავებას ერთობლივი რისკების ანალიზის შემუშავების გზით, ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმის შემუშავებას, ერთობლივ ოპერაციებსა და დაბრუნების ოპერაციებში აქტიურ მონაწილეობას. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს FRONTEX-ის ორგანიზებით გამართულ ერთობლივ ოპერაციებში.

2018 წელს "საქართველოსა და ევროკავშირის შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმების ფარგლებში მიღებულ იქნა 3301 განაცხადი. აქედან დადებითად დასრულდა 3234, ხოლო უარყოფითი პასუხი გაიცა 67 პირზე.

2018 წლის 18 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 21 ივლისს მიიღო „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების მიზანია, საქართველოში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გაამარტივოს საერთაშორისო თანამშრომლობა და მტკიცებულებების მოპოვება საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც საზღვარგარეთ დანაშაულს არ წარმოადგენს, თუმცა, ისჯება საქართველოს კანონმდებლობით. ასევე, უზრუნველყოს ასეთი მტკიცებულების დასაშვებობა საქართველოში სამართალწარმოებისას.

2018 წელს გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 4 რაუნდი, სადაც ქართულმა მხარემ განიხილა შემდეგი პრიორიტეტული საკითხები: 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულება, რუსეთის მხრიდან ძალის გამოყენებლობის შესახებ ვალდებულებების აღება, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, ასევე მავთულხლართებისა და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვა, რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონების ინტენსიური მილიტარიზაცია და ადამიანის უფლებების სისტემატური დარღვევის ფაქტები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო **ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ დისკრიმინაციულ რეგულაციებს და მოპყრობას ეთნიკური ქართველების მიმართ.** ყურადღება გამახვილდა გადაადგილების თავისუფლებისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვაზე, როგორც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამოვლინებაზე. **განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა 2018 წლის 22 თებერვალს** ოკუპირებულ ცხინვალში საქართველოს მოქალაქის - იძულებით გადაადგილებული პირის, არჩილ ტატუნაშვილისა და **2016 წლის 19 მაისს** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების საკითხთან დაკავშირებით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმატებით აგრძელებდა მუშაობას, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, საქართველოს დევნილი მოსახლეობის უფლებების დაცვის საკითხის წამოსაწევად, იქნებოდა ეს გაერო, ევროპის საბჭო თუ სხვ.

2018 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომლის თანმდევი საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს პარლამენტმა ფართო კონსენსუსით მიიღო 2018 წლის ივნისში. სამშვიდობო ინიციატივამ ასევე მოიპოვა ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა ევროკავშირის, ცალკეული წევრი სახელმწიფოების, სახელმწიფოს მეტაურებისა და აშშ-ის მხრიდან. ინიციატივა ითვალისწინებს ვაჭრობის წახალისებას საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, განათლების შესაძლებლობების განვითარებას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის და მათთვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისზე წვდომის გამარტივებას. სამშვიდობო ინიციატივა არის ცალსახად კონსტრუქციული, ეხმიანება მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებს და ქმნის სივრცეს საზოგადოებრივი დიალოგისა და თანამშრომლობისათვის.

2018 წელს გრძელდებოდა სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ეფექტიანი განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრებთათვის ჯანდაცვის მომსახურების უფასოდ მიწოდებას. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებთ შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულფასოვანი, საჭიროებაზე გათვლილი სამედიცინო მომსახურება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში. ამასთანავე, საქართველოს მთავრობა მუშაობს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით და დახმარებას უწევს ადგილობრივ სამედიცინო

პუნქტებს. გრძელდება ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო ვაქცინების, მათ შორის, ბავშვთა იმუნიზაციისა და ვეტერინარული ვაქცინების, დიაბეტის, ტუბერკულოზის და აივ/შიდსის საწინააღმდეგო იმ მედიკამენტების მიწოდება, რომელთა თვითღირებულება წელიწადში 500 000 ლარზე მეტს შეადგენს. 2018 წელს ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა ბავშვთა იმუნიზაციის ვაქცინები, C ჰეპატიტის ტესტები, B ჰეპატიტის და ვეტერინარული ვაქცინები ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები, დიაბეტის საწინააღმდეგო წამლები და შიდსის სამკურნალო პრეპარატები. ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონს გადაეცა სასწრაფო დახმარების ერთი მანქანა. 2018 წელს ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონისთვის გადაცემული სამედიცინო საშუალებებისა და ტექნიკის ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 1 მილიონი ლარი, ხოლო ჯანდაცვის კომპონენტზე სრულად დახარჯულმა თანხამ - 7 მილიონი ლარი.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუშაობს ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამა, რომლის ფარგლებში ნარკოტიკის მომხმარებელი ადგილობრივი მაცხოვრებლები იღებენ ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების მომსახურებას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლები აგრძელებენ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვას და სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღებას. განიხილება პროგრამის უშუალოდ ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში განხორციელების შესაძლებლობა.

2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებიდან დაფინანსდა 1193 სტუდენტი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 2 500 000 ლარი. დამატებით ფინანსდებიან სტუდენტები (700 სტუდენტი) სოციალური პროგრამის ფარგლებში; 2018 წლის 5 ნოემბერს კომისიის გადაწყვეტილებით 2018-2019 სასწავლო წელს ასევე დაფინანსდება 1500-მდე სტუდენტი. დაფინანსებისთვის საჭირო თანხა სავარაუდოდ შეადგენს 3 მლნ ლარს; **2017-2018 სასწავლო წელს „ასწავლე საქართველოსთვის“ ქვეპროგრამაში, 12 კონსულტანტ-მასწავლებელი მივლენილია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში.**

3. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება

ჯანდაცვის მომსახურებით ისარგებლა ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის 80-მა ბენეფიციარმა. სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაერთო 199 ბენეფიციარი, მათ შორის 142 ბენეფიციარი არაფორმალური განათლების მიმართულებით, ხოლო 57 ბენეფიციარი პროფესიული გადამზადების მიმართულებით. დასაქმდა პროგრამაში ჩართული 70 ბენეფიციარი.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს განრიდების საქმეების შესწავლა და უწყებათაშორისი კოორდინაციის პროცესი. **2018 წელს** სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განერიდა 21 წლის ასაკს მიუღწეველი, 897 პირი. აქედან 497 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 400 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). 366 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია. შედგა 290 მედიაციის საერთო შეხვედრა. სსიპ-დანაშაულის პრევენციის ცენტრი ჩართულია და აქტიურ მონაწილეობას იღებს რეგიონებში არსებული ადგილობრივი საბჭოების მუშაობის პროცესში. საქართველო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლას. ამ მიზნით, ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნება **ე.წ. „4P“ პრინციპს (Prevention, Protection, Prosecution, Partnership)**, რომელიც მიმართულია დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, პროაქტიული გამოძიებისა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნისა და თანამშრომლობის ღონისძიებების გაძლიერებისაკენ.

2018 წლის 31 მარტს იუსტიციის სამინისტრომ, როგორც ტრეფიკინგთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ხელმძღვანელმა უწყებამ, **აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს წარუდგინა ტრეფიკინგთან ბრძოლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ერთწლიანი ანგარიში** (2017 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 31 მარტის საანგარიშო პერიოდი).

წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2018 წლის ანგარიშით საქართველომ ევროკავშირისა და დასავლური სახელმწიფოების გვერდით კვლავ შეინარჩუნა ადგილი პირველ კალათაში, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. ამ ანგარიშით, 2018 წელს პირველად აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის, მხოლოდ საქართველო მოხვდა რეიტინგული სკალის უმაღლეს საფეხურზე. ანგარიშში წელს პირველად აღინიშნა, ასევე, საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიუსაფარი ბავშვების პრობლემის აღმოფხვრის მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის მოდელი საუკეთესო მაგალითად დასახელდა.

საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის **2019 წლის სამოქმედო გეგმა** დამტკიცდა 2018 წლის 3 დეკემბერს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის 23-ე სხდომაზე. 2018 წლის 11-12 ოქტომბერს ევროკავშირთან და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ჩატარდა მიგრაციაზე, მობილობასა და საზღვრის ინტეგრირებულ მართვაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის პანელის საერთაშორისო კონფერენცია მიგრაციის სფეროში საინფორმაციო კამპანიების წარმართვაზე. შეხვედრისას განისაზღვრა, უვიზო მიმოსვლის პირობებში, პარტნიორობის ქვეყნებში გასატარებელი საინფორმაციო კამპანიების მთავარი პრინციპები და მიმართულებები.

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონის მიერ განსაზღვრული ყველა აუცილებელი კანონქვემდებარე აქტი დამტკიცებულია. შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ დახვეწა მთელი რიგი ელექტრონული

მომსახურებები და ასევე, შექმნა რამდენიმე ახალი მომსახურება, კერძოდ: მნიშვნელოვნად დაიხვეწა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის მხარდამჭერი პროგრამული უზრუნველყოფა; გაფართოვდა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის შესაძლებლობები; დაინერგა კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემის მომსახურება რამდენიმე ფორმით; დაიხვეწა დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურება, რომელიც უკვე მიეწოდება არამარტო საჯარო დაწესებულებებს, არამედ კერძო უწყებებსაც (მაგ., კომერციულ ბანკებს); ყველა კვალიფიციურ სანდო მომსახურებაზე 2018 წელს ჩატარდა კანონთან და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან, ასევე სხვა კანონქვემდებარე აქტებთან შესაბამისობის აუდიტი.

ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი **საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ მოამზადა 2019-2020 წლების ნარკომანიასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი**. სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადებისას მხედველობაში იქნა მიღებული ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც გაცემულია საერთაშორისო ორგანიზაციების, ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციათა და სახალხო დამცველის მიერ ნარკოპოლიტიკის დახვეწის მიმართულებით. ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისმა საბჭომ **დაამტკიცა ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დებულება და ფუნქციონირების მოდალობები**. ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი უახლოეს მომავალში დაკომპლექტდება და იმუშავებს ქვეყანაში ნარკოვითარების ანალიზისა და მონაცემებზე დაფუძნებული მტკიცებულებების მოპოვების მიმართულებით, აწარმოებს სტატისტიკას ქვეყანაში ნარკოვითარების უახლესი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით. ცენტრი დაკომპლექტდება სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებისაგან, დარგის ექსპერტების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისაგან.

ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ 2018 წლის 27 მარტის სხდომაზე, ასევე, მხარი დაუჭირა საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს. საკანონმდებლო ცვლილებები მომზადებულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და ეხება 8 ნარკოტიკული საშუალებისათვის მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ახლებურად განსაზღვრის საკითხს. მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს მხარი დაუჭირა საბჭოს დამსწრე 16 წევრთაგან 15-მა წევრმა. მომზადებული პაკეტი უახლოეს მომავალში წარედგინება საქართველოს მთავრობას და შემდგომ გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტს შესაბამისი პროცედურებისათვის.

საქართველოს პარლამენტს წარედგინა **კანონის პროექტი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ და ცვლილებები 30-მდე საკანონმდებლო აქტში**. აღნიშნული ითვალისწინებს ახალი, ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საგამომიებო ორგანოს შექმნას. ამასთან, განისაზღვრება **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი**

სახელმწიფო ორგანოს, აგრეთვე სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობის პრინციპები, უფლებამოსილებები და გარანტიები, სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. **ახალი კანონი და საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2018 წლის 21 ივლისს.**

მომზადებულია ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლისა და ნარკომანიასთან ბრძოლის **2019-2020 წლების სამოქმედო გეგმების პროექტები.** 2018 წლის 24 დეკემბერს დამტკიცდა ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ჩაატარა 148 ინსპექტირება. 2018 წელს მოქალაქეების მომართვისა და ინსპექტირების შედეგად შესწავლილ იქნა საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დამუშავების 470 პროცესი, აქედან 120 შემთხვევაში საჯარო დაწესებულების, ხოლო 350 შემთხვევაში კერძო ორგანიზაციების. საჯარო დაწესებულებების მიერ კანონქვემდებარე აქტების, შიდა რეგულაციების, პროცედურებისა და პრაქტიკის პერსონალური მონაცემების დაცვის წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, **ინსპექტორის აპარატის მიერ ზეპირი და წერილობითი კონსულტაცია გაეწია 916 საჯარო დაწესებულებას.** საჯარო დაწესებულებებისთვის ჩატარდა 16 ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა.

2018 წლის განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა **შეისწავლა მოქალაქეთა 380 განცხადება და შეტყობინება.**

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა გასწია 6101 კონსულტაცია, აქედან კონსულტაციების 50% გაეწია მოქალაქეებს, 35 % - კერძო ორგანიზაციებს, ხოლო 15 % - საჯარო უწყებებს. კონსულტაციის თემატიკა შეეხებოდა მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, მონაცემთა გასაჯაროებას, ფაილური სისტემის კატალოგის წარმოებას, სუბიექტის უფლებებს, კანონის მოქმედების სფეროს და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის **ინსპექტორის აპარატის მიერ შემუშვებულია რეკომენდაცია/სახელმძღვანელოები:** ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის შესახებ („GDPR - რა უნდა ვიცოდეთ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის შესახებ“). 2018 წელს ინსპექტორის აპარატმა ჩაატარა 38 ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა, ჯამში 1200-მდე მონაწილით.

„ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის“ რეგულაციების საქართველოს ეროვნული კანონმდებლობაში ჰარმონიზაციის მიზნით, 2018 წლის 22 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები“.

2018 წლის 5-8 ივნისს „ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ინიციატივის ფარგლებში, საქართველოში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ი) ბაზაზე, ჩატარდა ბირთვული და რადიოაქტიური მასალებისა და ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამაგიდო და საველე საერთაშორისო ფართომასშტაბიანი სწავლება "LIONSHIELD 2018", რომელშიც მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ ევროპის რვა ქვეყნის (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, სერბეთი, სომხეთი, უკრაინა) 50-მდე წარმომადგენელმა.

2018 წლის 13 ივლისს, ქ. თბილისში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარეობით, გაიმართა ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მე-4 ყოველწლიური სხდომა. სხდომაზე საბჭოს წევრმა უწყებებმა წარმოადგინეს „საქართველოს ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების ერთი წლის ანგარიში (ივნისი 2017 - ივნისი 2018).

2018 წლის 28-29 ივნისს, ქ. ნიუ-იორკში (აშშ), გაიმართა გაერო-ს წევრი სახელმწიფოების კონტრ-ტერორისტული უწყებების ხელმძღვანელ პირთა მაღალი დონის პირველი გლობალური კონფერენცია: „საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ტერორიზმის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ სუს-ის უფროსის მოადგილის ხელმძღვანელობით. კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ქვეყნის მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მოხსენება წარადგინა.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით. 2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, ასევე სხვა შესაბამისი უწყებების ჩართულობით (2018 წლის 14 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის N469 დადგენილებით, შეიქმნა მუდმივმოქმედი უწყებათშორისი კომისია), შემუშავდა და 2019 წლის 23 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიაში ნათლად არის წარმოდგენილი ტერორიზმისა და ექსტრემიზმის კუთხით ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები, ასევე მათთან გამკლავების მიმართულებით სახელმწიფოს ერთიანი ხედვა, მისი მიზნები და ამოცანები. დოკუმენტის შემუშავების პროცესში მოხდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სტრატეგიულ პარტნიორებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

2018 წლის 16-18 ივლისს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებითა და მასპინძლობით, განხორციელდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრ-ტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის შემფასებელი დელეგაციის ვიზიტი

საქართველოში, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მიერ გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების შესრულების მონიტორინგი. შეხვედრებში საქართველოს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების 80-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. დელეგაციამ დადებითად შეაფასა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საქართველოს ძალისხმევა.

2018 წლის 13 დეკემბერს, ქ. ნიუ-იორკში (აშშ), გაიმართა გაერო-ს უშიშროების საბჭოს N1373 (2001) რეზოლუციის საფუძველზე ჩამოყალიბებული კონტრ-ტერორისტული კომიტეტის მიერ დაგეგმილი სპეციალური შეხვედრა თემაზე: "გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2396 (2017): მადრიდის სახელმძღვანელო პრინციპების განხილვა", რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა.

2018 წლის 14-15 ნოემბერს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში განხორციელდა გამჭვირვალობის კოლეგიალური შეფასების ვიზიტი (Peer Review Exercise visit), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციის (BWC) მონაწილე 17 ქვეყნის ექსპერტებმა და დიპლომატიური კორპუსის 19 წარმომადგენელმა. შეფასებაში ასევე მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, (ლონდონის სამეფო კოლეჯის მკვლევარი-ექსპერტი - ფ. ლენცოზი), ევროკავშირის და კონვენციის განხორციელების მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენლები. გამჭვირვალობის ვიზიტის შესახებ მომზადდა ექსპერტული დასკვნა კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან საქართველოს შესაბამისობის შესახებ და ასევე, დამოუკიდებელი ექსპერტის - ფ. ლენცოზის ანგარიში, რომელიც წარდგენილ იქნა გაერო-ს სხდომაზე, ქ. ჟენევაში, 2018 წლის 4 დეკემბერს.

2018 წლის 30 აპრილიდან 3 მაისამდე პერიოდში, ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ გადამზადდა საბაჟო გამშვები პუნქტების 300-მდე თანამშრომელი სახელმწიფო საზღვრის ქიმიური საფრთხეების იდენტიფიცირების შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და ქიმიურ ნივთიერებებთან მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების განვითარებაზე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

2018 წლის 9 მარტს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“, ასევე შეთანხმებას „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ“.

წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოს (Eurojust) შორის შეთანხმების გაფორმების თაობაზე. 2019 წლის თებერვალში ევროპარლამენტმა კენჭი უყარა და დაამტკიცა ევროკავშირის საბჭოს

გადაწყვეტილების პროექტი „EUROJUST“-ის მიერ საქართველოსთან თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმების თაობაზე.

2018 წლის 14 მაისს ძალაში შევიდა შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ .

2018 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა შეთანხმება „საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“.

2018 წლის 18 სექტემბერს ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და ალბანეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებას.

2018 წლის 6 ოქტომბერს ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებას.

2018 წლის 17 ოქტომბერს ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებას.

2018 წელს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) 13 შეხვედრა გაიმართა, კერძოდ, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით გორის რაიონის სოფელ ერგნეთში - 7, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, ოკუპირებულ ქ. გალში - 6. აღნიშნული ფორმატის ფარგლებში, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააყენეს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ რეგიონში დაფიქსირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის, **გიგა ოთხოზორიას და არჩილ ტატუნაშვილის** მკვლელობების, **დავით ბაშარულის** გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის, ე.წ. გადასასვლელების დახურვის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების განადგურების, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ რეგიონში ჩატარებული სამხედრო წვრთნების და სხვა საკითხები. 2018 წელს დე ფაქტო რეჟიმებისა და რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა IPRM-ის შეხვედრების დღის წესრიგიდან **გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილის და დავით ბაშარულის** საკითხების ამოღება მოითხოვეს, ხოლო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში IPRM-ის შეხვედრებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით, IPRM-ის შეხვედრები ორთვიანი შეჩერების შემდეგ, 2018 წლის 18 დეკემბერს, განახლდა, თუმცა რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და დე ფაქტო რეჟიმის გადაწყვეტილების შედეგად, ოკუპირებულ ქ. გალში IPRM-ის ფორმატი 2018 წლის 27 ივნისის შემდეგ კვლავ შეწყვეტილია.

საოკუპაციო ხაზის გასწვრივ დაფიქსირებული ინციდენტების უმოკლეს ვადაში გარკვევა/განმუხტვის მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) უშუალო ჩართულობით მოქმედი **„ცხელი ხაზი“** 2018 წელს 2182-ჯერ გააქტიურდა. მათ შორის, ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით -1611-ჯერ, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 571-ჯერ.

ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მიმართულებით საქართველო-ევროკავშირის სამუშაო გეგმის განახლების მიზნით, 2018 წლის მეორე ნახევარში გაიმართა უწყებათაშორისი კონსულტაციები, სადაც შეჯერებულ იქნა თანამშრომლობის კონკრეტული აქტივობები 2019 წლისათვის. სამუშაო გეგმის პროექტი ევროკავშირის მხარეს წარედგინა 2018 წლის 20 ნოემბერს ქ. ბრიუსელში გამართული ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მიმართულებით საქართველო-ევროკავშირის სამუშაო დონის კონსულტაციების ფორმატში (staff to staff consultation).

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA) ქართული ოცეულის (35 ს/მ) მე-4 როტაცია განხორციელდა 2018 წლის 14 აგვისტოს, ხოლო მე-5 როტაცია - 2019 წლის 5 მარტს. **მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM Mali)** მეკავშირე ოფიცრის პოზიციაზე 2018 წლის ნოემბერში განხორციელდა მე-7 როტაცია (1 წლიანი პერიოდით) განახლებული (მე-4) მანდატის ფარგლებში.

2018 წლის აგვისტოში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების EUTM RCA-ში მონაწილეობა გაგრძელდება მისიის მე-2 მანდატის ამოწურვამდე (2020 წლის 19 სექტემბერი) იგივე რაოდენობითა (35 ს/მ) და ამოცანით (მაღლა დაცვა), ხოლო EUTM Mali-ში მონაწილეობა გაგრძელდება იმავე თანამდებობაზე (მეკავშირე ოფიცერი) მისიის მე-4 მანდატის ბოლომდე (2020 წლის 18 მაისი).

აღსანიშნავია, რომ EUTM Mali-ის მისიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის 2018 წლის მაისში მოხდა ქართველი ოფიცრის (კ. ხარშილაძე) დაჯილდოება საპატიო სიგელითა და მედლით.

მიმდინარეობს თავდაცვის სფეროში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სტანდარტის დანერგვის პროცესი ISO 27001 შესაბამისად, რომელიც ასევე მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვისა და ინციდენტების მენეჯმენტის სისტემის (SIEM) დანერგვას. აღნიშნული მიმართულებით გასულ წელს შემუშავდა 8 სამართლებრივი აქტი და განხორციელდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვისა და ინციდენტების მენეჯმენტის სისტემის (SIEM) შესყიდვა და დანერგვა.

საანგარიშო პერიოდში „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნა ყველა ძირითად დაინტერესებულ პირთა ჯგუფთან, მათ შორის, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ორმხრივი თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის თაობაზე ევროკავშირის წევრი 20 ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის (დაზვერვის) სამსახურთან. სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ევროკავშირის წევრი ყველა იმ ქვეყნის შესაბამის სამსახურთან, რომელიც ასეთ შეთანხმებას საჭიროებს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლისთვის.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით აგრეთვე განხორციელდა ევროკავშირის ექსპერტების მიერ ევროკავშირის დირექტივასთან (2015/849), FATF-ის რეკომენდაციებთან, „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს (CETS 198) კონვენციასთან და გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებთან კანონპროექტის შესაბამისობის ექსპერტიზა. კანონპროექტის ტექსტში ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირების და ევროკავშირის ექსპერტების კომენტარებისა და წინადადებების გათვალისწინების შემდგომ კანონპროექტი განსახილველად გადაეცა საქართველოს მთავრობას.

4. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

2018 წლის 8 მაისის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის 57-ე სხდომაზე მოწონებულ იქნა 2018-2020 წლების DCFTA-ს სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი. სამწლიანი გეგმა საშუალებას იძლევა გრძელვადიანად დაიგეგმოს და ეფექტიანად განხორციელდეს DCFTA-ს ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები. აღნიშნულ გრძელვადიან გეგმასთან ერთად, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით 2018 წლის დეკემბერში დამტკიცდა DCFTA-ის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

2018 წელს DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე თემატური შეხვედრები გაიმართა ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

რეგულარულად მიმდინარეობს ვებ-გვერდის www.dcfta.gov.ge განახლება. საიტზე განახლდა ვაჭრობის სტატისტიკა და შენიშვნებისთვის გასაჯაროვდა საკანონმდებლო აქტების პროექტები სანიტარულ და ფიტოსანიტარულ და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროებში.

2018 წლის მდგომარეობით, სსიპ - „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით დაეხმარა 102 ბიზნეს პროექტს, მათ შორის 65

საწარმოსა და 37 სასტუმროს. აღნიშნული 102 პროექტის ჯამური ინვესტიციის მოცულობა არის 219 მლნ. ლარზე მეტი, რაც დამატებით 3,200 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის.

2018 წელს, EEN-ში (ევროპის მეწარმეთა ქსელი) მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, EEN-ის პლატფორმაზე განთავსდა ქართული კომპანიების 11 ახალი კომერციული წინადადება. დამატებით, ერთი წინადადება ატვირთულია და იმყოფება მოლოდინის რეჟიმში. ასევე, მოხდა ორი ქართული კომპანიის დაკავშირება ევროპელ ბიზნეს პარტნიორებთან და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება.

2018 წლის მდგომარეობით, DCFTA-სთან დაკავშირებით კონსულტაცია გაეწია სსიპ - „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს 140 ბენეფიციარსა და დაინტერესებულ პირს, მათ შორის სათამაშოების მწარმოებელ 20 კომპანიას, საფეიქრო ინდუსტრიაში მომუშავე 50 კომპანიას ქ. ქუთაისში, არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე 30 კომპანიას, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის 20 ბენეფიციარს და 20 ინდივიდუალურ პირს.

აქტიურად მიმდინარეობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში **სავაჭრო გამოფენებში ქართველი ექსპორტიორების მონაწილეობის ხელშეწყობა**, ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია და ახალი ბიზნეს-კონტაქტების დამყარება ბაზრის დივერსიფიკაციის მიზნით. 2018 წლის მონაცემებით, 79 ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა ევროკავშირის ქვეყნებში გამართულ სავაჭრო მისიებში, გამოფენებსა და კონფერენციებში. აღსანიშნავია, რომ სამი Paris Fashion week-ის თანმდევ ღონისძიებებზე გაფორმებული კომერციული კონტრაქტების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 0,8 მილიონი ევრო.

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში, საკანონმდებლო დაახლოების პროცესის ფარგლებში, მომზადდა მთავრობის დადგენილებების პროექტები „ტექნიკური რეგლამენტი ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ“ და „რადიოაპარატურის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბერის №476 დადგენილება „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციას სამშენებლო პროდუქტების შესახებ.

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სამრეწველო პროდუქტებზე **ბაზრის ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით**. კერძო სექტორთან კონსულტაციებისა და განხილვების შემდეგ, 2018 წლის ივნისში მიღებულ იქნა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებებით განისაზღვრა ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის №539 და №540 დადგენილებებით

დამტკიცდა „ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ და „ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ წესები. სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სტანდარტად (სსტ) სულ დარეგისტრირდა 1946 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 124; სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) - 4; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 1778; სსტ ეტსი (ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტი) - 40; მათ შორის სსტ ენ (ქართულენოვანი) - 10; სსტ ისო (ქართულენოვანი) - 20. 2018 წლის მდგომარეობით, საქართველოს სტანდარტად სულ მიღებულია 13,000-ზე მეტი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი.

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და ETSI-ს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რის შედეგადაც სააგენტო ოფიციალურად გახდა ETSI-ის სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანო საქართველოში.

2018 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო შეფასების შედეგად, მეტროლოგიის ინსტიტუტმა მიაღწია საერთაშორისო აღიარებას შემდეგი ახალი მიმართულებებით: გეომეტრია (სიგრძის გაზომვები), მასა და მასთან დაკავშირებული სიდიდეები (მასა, მცირე მოცულობა, წნევა), ტემპერატურა და ტენიანობა, ელექტროგაზომვები, მაიონიზებული გამოსხივება.

2018 წლის თებერვალში აკრედიტაციის ცენტრმა ოფიციალური განაცხადით მიმართა EA-ს სამდივნოს აღიარების სფეროს სსტ ისო 15189 სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაციის გაფართოების თაობაზე, რაზეც EA-ს სამდივნოდან მიღებულია დადებითი პასუხი. 2018 წლის ნოემბერში ჩატარდა აკრედიტაციის ცენტრის გეგმიური შეფასება EA-ს მხრიდან აღიარებული სფეროების შენარჩუნების მიზნით.

სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროში საკანონმდებლო დაახლოების ნუსხის შესაბამისად, 2018 წლისთვის განსაზღვრული 24 სამართლებრივი აქტიდან განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება 19 სამართლებრივ აქტთან. ევროკავშირთან შეთანხმებით, ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის სამოქმედო დასკვნების მიხედვით, 5 ევროპული აქტი მიჩნეულ იქნა საქართველოსთვის არარელევანტურად. მიღებული დადგენილებები ეხება შემდეგ სფეროებს: **სურსათის უვნებლობა:** 1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილება მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ; 2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №548 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების მიკვლევადობისა და ეტიკეტირების, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისაგან წარმოებული სურსათის/ცხოველის საკვების მიკვლევადობის დამტკიცების შესახებ“; 3.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №549 დადგენილება „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“; **ვეტერინარია:** 4. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 აგვისტოს №398 დადგენილება „ბლუთანგის აღმოფხვრასა და კონტროლთან დაკავშირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“; 5. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №551 დადგენილება „შინაური ბინადარი ცხოველების საქართველოს საბაჟო საზღვარზე არაკომერციული გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“; 6. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №587 დადგენილება „ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასა და იმპორტთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“; 7. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის №112 დადგენილება - „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“; **მცენარეთა დაცვა:** 8. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №516 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის განსაზღვრისათვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ნიმუშის აღების მეთოდების დამტკიცების შესახებ“; 9. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №553 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ბოსტნეულისა და ბაღჩეულის გასამრავლებელი (გარდა თესლისა) და სარგავი მასალის ბაზარზე განთავსების პროცედურების დამტკიცების თაობაზე“; 10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის №556 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის გარდა კონტროლისათვის განსაზღვრულ სხვა ადგილზე მცენარეების, მცენარეული პროდუქტების და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტების იდენტიფიკაციის შემოწმების და მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლის პროცედურებისა და პირობების დადგენის შესახებ დამტკიცების თაობაზე“; 11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №588 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ვაზის ვეგეტატიური გამრავლებისთვის საჭირო მასალების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“; 12. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №591 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – დაცული ზონისა და მცენარის პასპორტის დამტკიცების თაობაზე“; 13. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №661 დადგენილება „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“; 14. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის №62 დადგენილება „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N443 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

გრძელდება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება. 2018

წელს სურსათის უვნებლობის მიმართულებით დაინერგა 17 ახალი მეთოდი; ვეტერინარიის მიმართულებით - 7; მცენარეთა დაცვის მიმართულებით - 30.

მას შემდეგ რაც დასრულდა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის „წითელი ხიდის“ სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, 2018 წლის 14 სექტემბერს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი ოფიციალურად გაიხსნა. ამასთან, 2018 წელს დასრულდა სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე „სადახლო“ სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პირველი ეტაპი.

მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის პროექტი. პროექტის პრეზენტაცია კერძო სექტორისთვის და სხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის ჩატარდა 2018 წლის 1 სექტემბერს ქ. ფოთში. აღნიშნული პროექტის შემუშავების ეტაპში ჩართული იყო ევროკავშირის საგადასახადო და საბაჟო საკითხების დირექტორატი (DGTAXUD). ევროკომისიასთან შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული კოდექსი შემუშავებულ იქნა ე.წ. „Union Customs Code“-ის შესაბამისად, რომელმაც ჩაანაცვლა DCFTA-ის ფარგლებში განსაზღვრული ე.წ. „Community Customs Code“. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს საბაჟო კოდექსის პროექტის პარლამენტში განხილვის მხარდამჭერი ღონისძიებები.

საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) რეგულაციების დანერგვის მიზნით, გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 1 ივნისის ბრძანება N213 „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2018 წლის 20 მარტს ქ. ბრიუსელში, საბაჟო ქვეკომიტეტის შეხვედრის ფარგლებში, ხელი მოეწერა გადაწყვეტილებას, რომლითაც DCFTA-ს ფარგლებში არსებული წარმოშობის წესები ჩაანაცვლდა პან-ევრო ხმელთაშუაზღვის კონვენციის ფარგლებში არსებული წესებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის დიაგონალური კუმულაციის ამოქმედების მიმართულებით, რისთვისაც საჭირო ყველა პროცედურა საქართველოს მხრიდან უკვე შესრულებულია.

2018 წლის მარტში სსიპ შემოსავლების სამსახურში დაიწყო ევროკავშირის დამმოხილვების პროექტი „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთებისა და “ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის” “NCTS” იმპლემენტაციის მიზნით. აღნიშნული პროექტი შედგება 3 კომპონენტისაგან:

- საკანონმდებლო ბაზის განვითარება და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა;

- საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის შესწავლა-ადაპტირება - შემოსავლების სამსახურის არსებული საინფორმაციო სისტემის განახლება ახალი კომპიუტერული სატრანზიტო სისტემის NCTS მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- სამსახურის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების განვითარება და ცნობადობის ამაღლება.

2018 წლის ივნისიდან დაიწყო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა პროექტის შემადგენელი სამივე კომპონენტის მიმართულებით. კერძოდ, მოწვეულმა ექსპერტებმა დაიწყეს საკანონმდებლო ბაზის, საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით არსებული სიტუაციის შესწავლა. იმართება შეხვედრები შემოსავლების სამსახურის საბაჟო, იურიდიული, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და ხელმძღვანელობასთან. ექსპერტების მხრიდან გაკეთდა პრეზენტაციები "ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC)" შესახებ კონვენციის, ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) და შესაბამისი IT ინფრასტრუქტურის შესახებ. ექსპერტები ეცნობიან არსებულ მდგომარეობას და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ სამსახურში სისტემის დანერგვისა და განხორციელებისათვის საჭირო ცვლილებებს.

საქართველოს პარლამენტში გაიმართა კანონის პროექტის „ელექტრონული კომერციის შესახებ“ პრეზენტაცია საჯარო და კერძო სექტორისთვის. დაგეგმილია კანონის პროექტის წარდგენა პარლამენტში 2019 წელს.

ევროკომისიასთან კონსულტაციების შემდგომ, განხორციელდა "ფოსტის შესახებ" კანონპროექტის დახვეწა და მათი შენიშვნების აღნიშნულ კანონპროექტში ასახვა. დაგეგმილია კანონპროექტისა და მისი თანმდევი კანონპროექტების წარდგენა საქართველოს პარლამენტისთვის 2019 წელს.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი გადაეგზავნა კერძო სექტორს კომენტარებისთვის.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დაასრულა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით მომზადებული შენიშვნების განხილვა, რის შემდეგაც ისინი აისახა აღნიშნულ კანონპროექტში. განახლებული კანონპროექტი უახლოეს მომავალში დაეგზავნება საქართველოს მთავრობას და მსხვილ შემსყიდველ ორგანიზაციებს განსახილველად.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, მომზადდა საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ინსტიტუციური მოწყობის ახალი

კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაზრდილ ხარისხს.

2018 წლის მონაცემების მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (e-Procurement) განხორციელდა შესაბამისი ცვლილება, რომელიც ასახავს 2017 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სისტემას ასევე დაემატა კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერის პროცედურა რევერსიული აუქციონის გარეშე. ამასთანავე, დაინერგა სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ელექტრონული კითხვარი და სისტემაში რეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციების პროფილს დაემატა რეგიონების მიხედვით კატეგორიზაციის კომპონენტი.

კონკურენციის სააგენტოში გრძელდება კონკურენციის პოლიტიკის ადვოკატირება, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ინფორმაციული შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება. 2018 წელს ამ მიზნით ჩატარდა 15 ღონისძიება. აღსანიშნავია ასევე ევროკავშირის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ მხარდაჭერით სააგენტოს მიერ სექტემბრის თვეში ორგანიზებული მეორე საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები“.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტის“ მიერ აქტიურად გრძელდება სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება. საქპატენტი აქტიურად ახორციელებს მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ორგანიზებას.

2018 წელს საქართველო-ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის სხდომაზე ხელი მოეწერა გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებას ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამის დანართებში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის შედეგადაც ევროკავშირის ტერიტორიაზე, დაცვა მიენიჭა ოთხ ახალ ქართულ გეოგრაფიულ აღნიშვნას: „ტყიბულის ჩაი“, „მაჭახელას თაფლი“, „ქუთაისის მწვანილი“ და „ახალქალაქის კარტოფილი“. ასევე, განახლდა საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების სია.

2018 წლის ივლისის თვეში საქართველოს პატენტების სრული კოლექცია პირველად განთავსდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) საპატენტო საძიებო სისტემაში Patentscope. აღნიშნული კოლექცია მოიცავს საქპატენტის მიერ გაცემულ ყველა პატენტს უწყების შექმნიდან (1992) დღემდე, ჯამში დაახლოებით 8850 დოკუმენტს. Patentscope არის საპატენტო საძიებო სისტემა, რომელშიც თავმოყრილია როგორც საერთაშორისო

საპატენტო განაცხადები (PCT განაცხადები), ისე მრავალი ქვეყნის საპატენტო განაცხადები და პატენტები, ჯამში 70 მილიონი დოკუმენტი.

2018 წლის ივლისში საქპატენტი შეუერთდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ელექტრონულ პლატფორმას WIPO CASE. ეს პლატფორმა წარმოადგენს საპატენტო ექსპერტიზის მასალებზე ცენტრალიზებული წვდომის სისტემას. მისი საშუალებით სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყებებს შესაძლებლობა ეძლევათ უსაფრთხოდ გაცვალონ საპატენტო განაცხადის ძიებასთან და ექსპერტიზასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

გაიმართა ტყის ახალი კოდექსის პროექტის საჯარო განხილვა, ხოლო მიღებული შენიშვნები აისახა დოკუმენტში, რითაც ტყის კოდექსის კანონპროექტის შემუშავების პროცესი დასრულდა. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ტყის კოდექსის პროექტი განსახილველად წარედგინა საქართველოს მთავრობას. ამასთან, შემუშავებულია „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“, „ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ და „ტყის დაცვის, მოვლის და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტების პირველადი სამუშაო ვერსიები, რომელთა გადამუშავება ტყის კოდექსის კანონპროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად დაიწყება კოდექსის პარლამენტის მიერ მიღების შემდეგ.

თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემა დანერგულია საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში, ხოლო მისი პარამეტრების შესაბამისობა ევროპის სტანდარტებთან უზრუნველყოფილი იქნება ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) ტექნიკური დახმარების საფუძველზე. GFCM-ის და ევროპის თევზჭერის კონტროლის სააგენტოს (EFCA) ერთობლივი ინიციატივით, 2018 წლის სექტემბრის თვეში EFCA-ს ექსპერტის მიერ ბათუმში გადამზადდნენ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლები, რომლებიც აკონტროლებენ სარეწაო თევზჭერის პროცესს.

5. ეკონომიკური თანამშრომლობა

2018 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 4,7 პროცენტი შეადგინა.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წელს 1.23 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34.9 პროცენტით ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე (აქედან, 569.3 მლნ. აშშ დოლარი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე მოდის).

2018 წელს საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 730.3 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 11.5 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.8 პროცენტს შეადგენს.

იმპორტმა 2.6 მლრდ. აშშ დოლარს მიაღწია (19.6 პროცენტით მეტი) და მთლიანი იმპორტის 28.9 პროცენტი შეადგინა.

სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3.4 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 17.8 პროცენტით აღემატება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2018 წელს მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 33.0 პროცენტით განისაზღვრა.

დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, მათ შორის საჭაერო ხომალდებისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევის დღგ-ისგან გათავისუფლება და სხვა.

ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისა და მოცემულ პასუხისმგებლობასთან მიმართებით ამ ვალდებულების შესრულების ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 16 სექტემბრის დირექტივასთან (2009/103/EC) დაახლოების მიზნით, მიღებულ იქნა "საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" კანონი. ხოლო, საქართველოში რეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონპროექტი მომზადებულია და გადაგზავნილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად. მოცემული კანონი და კანონპროექტი ეხმიანება დირექტივის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდგომ მოხდება ავტოსამოქალაქო პასუხისმგებლობის „მწვანე ბარათის“ (რომელიც ასახავს დირექტივის ძირითად პრინციპებს) საერთაშორისო სისტემაში საქართველოს გაწევრიანებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება და შესაბამისად, დირექტივის ძირითად პრინციპებთან ჰარმონიზაცია.

საქართველოს მთავრობას წარედგინა შესაბამისი კანონპროექტი, ასევე მომზადების პროცესშია კანონქვემდებარე აქტები.

შემუშავებულ იქნა ახალი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელშიც ასახულია ასოცირების შეთანხმების XXVIII დანართით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტები საკორპორაციო სამართლის მიმართულებით. კანონპროექტს ჩაუტარდა რეგულირების ზემოქმედების შეფასება. საჯარო განხილვების დასრულების შემდეგ კანონპროექტი წარედგინება საქართველოს მთავრობას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადდა მოხსენება **„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“** მთავრობის ანგარიშზე და 14 მაისს წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ 2002 წლის 16 დეკემბრის **ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულია კანონპროექტი**, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას.

განხორციელდა საკრედიტო ინსტიტუტების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ 2001 წლის 4 აპრილის **ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/24/EC დირექტივის დეტალური ანალიზი**. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ 2001/24/EC დირექტივის სრულად შესრულება ამ ეტაპზე არ საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას. მისი მოთხოვნები აისახა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში, **კერძოდ, 2001/24/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით მიღებულ იქნა „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის N46/04 ბრძანება.

ფულადი სახსრების გადარიცხვისას გადამხდელის შესახებ თანმხლები ინფორმაციის თაობაზე **ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 20 მაისის (EU) 2015/847 რეგულაციასთან დაახლოების მიზნით**, დაინტერესებულ პირებთან ინტენსიური კონსულტაციების შემდგომ, მიღებულ იქნა **"გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე"** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის N253/04 ბრძანება.

დაიწყო ეროვნული ანგარიშთა სისტემის (SNA-2008) დანერგვა. 2018 წელს დაგეგმილი აქტივობები შესრულდა. სამუშაო პროცესი მიმდინარეობს და გაგრძელდება მონაცემთა გამოქვეყნებამდე. 2019-2020 წწ. ბიზნეს რეგისტრში განისაზღვრა თითოეულ ორგანიზაციაზე ეკონომიკური საქმიანობის სახე.

დამკვიდრდა სახელმწიფო და კერძო სექტორის კუთვნილი ქონების ეფექტური განკარგვის თვისობრივად ახალი მეთოდები - ელექტრონული აუქციონი, რაც არის სახელმწიფო და კერძო ქონების რეალიზაციის ყველაზე გამჭვირვალე, მოხერხებული და მარტივი შესაძლებლობა. ეს მეთოდი უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო გაყიდვების მიმართულებით, რადგან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეზღუდვის გარეშე ეძლევა შესაძლებლობა, კონფიდენციალობის სრული დაცვით, მიიღოს ნებისმიერ აუქციონში მონაწილეობა. მოხდა სისტემის სრული ტესტირება და უახლოეს მომავალში დაგეგმილია რეალურ რეჟიმში ახალი სერვისის დანერგვა.

საქართველოს კანონმდებლობის დღგ-ის ევროპულ დირექტივასთან (2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/EC დირექტივა (დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო

სისტემის შესახებ) აპროქსიმაციის პროცესის გაგრძელების მიზნით, განხორციელდა საგადასახადო კოდექსის ცვლილებები გარკვეულ საკითხებზე.

6. თანამშრომლობის სხვა სფეროები

6.1 ტრანსპორტი

დამტკიცდა „საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენისწინა შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის N109 ბრძანება, სადაც №1254/2009 რეგულაციის მოთხოვნები იქნა ასახული.

ევროკომისიის 2005 წლის 23 დეკემბრის №2150/2005 რეგულაციასთან დაახლოების მიზნით, მიღებულია საქართველოს მთავრობის N 514 დადგენილება საქართველოს საჰაერო სივრცით მოქნილი სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ.

საავიაციო სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის № 205 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელწიფო რეგისტრაციის წესში“ ასახულია შესაბამისი ნორმები, რითიც დანერგილია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის №2006/93 დირექტივის მოთხოვნა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში გარკვეული სახის სხ-ის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც საქართველოს საჰაერო სივრცით და აეროპორტებით სარგებლობენ. შესაბამისად, დირექტივა ნაწილობრივ დანერგილია და მოქმედებს საქართველოში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდებზე.

მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის სატრანსპორტო საშუალებებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე.

დასრულდა აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები საქართველოს მხრიდან და 2018 წლის 13 ივნისს გამოიცა მთავრობის № 335 დადგენილება „გემებზე მავნე დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემების კონტროლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთებისა და ძალაში შესვლის თაობაზე.

2004 წლის 31 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №725/2004 რეგულაციასთან (გემებისა და ნავსადგურების მოწყობილობების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე) და 2005 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს №2005/65/EC დირექტივასთან (ნავსადგურების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე) კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, დამტკიცებულია ნორმატიული აქტი - საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემებისა და საქართველოს ნავსადგურების უშიშროების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება.

2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №392/2009 რეგულაციასთან (უბედური შემთხვევების დროს ზღვით მგზავრების გადამყვანთა პასუხისმგებლობას), საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შემუშავებულია შესაბამისი ნორმატიული აქტი. ნორმატიული აქტის პროექტი გადის შიდასახელმწიფოებრივ პროცედურებს. მომზადებულია კონვენციაზე შეერთების სრული პაკეტი და „საზღვაო კოდექსში“ ცვლილების შეტანის კანონპროექტი და გადაგზავნილია პარლამენტში კომიტეტებზე წარსადგენად.

მომზადდა კანონპროექტი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) № 1071/2009 რეგულაციის შესაბამისად.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 15 ივლისის № 2003/59/EC დირექტივისთან კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, დასრულდა მძღოლთა პრაქტიკული მომზადებისათვის საჭირო ტრენინგ ცენტრის დაპროექტება და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები მშენებლობის დასაწყებად.

რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის სახელმწიფო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 23 ოქტომბრის №1370/2007 რეგულაციასთან დაახლოების მიზნით სს საქართველოს რკინიგზის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი.

6.2 თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

შემუშავდა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონპროექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას 2018 წლის ბოლოს, კანონპროექტი მოწონებული იქნა შენიშვნებით. 2019 წელს იგეგმება მისი პარლამენტში წარდგენა.

"რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის" ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: ქვესადგურების მშენებლობა/რეკონსტრუქცია; ელექტროგადამცემი ხაზების (ეგხ) მშენებლობა/რეკონსტრუქცია:

- 220კვ ქვესადგური "თელეთი" მშენებლობა - შესრულებულია სამუშაოების 70%; 35/10 ქვესადგური „შინდისი“ მშენებლობა - შესრულებულია სამუშაოების 80%; 35 კვ. ეგხ „თელეთი-შინდისი“ მშენებლობა - დასრულდა;
- 220 კვ. ეგხ. „ალავერდის“ რეკონსტრუქცია (გაორჯაჭვიანება) - დასრულდა; 35 კვ. ეგხ „მესტია-იფარის“ შესვლა ქ/ს „კახარში“ - დასრულდა;
- 110 კვ. ეგხ. „კახარი-იფარის“ რეკონსტრუქცია - დასრულდა;
- 500 კვ გადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“ მშენებლობა - შესრულებულია სამუშაოების 96%; 220კვ ეგხ-ს მშენებლობა ქ/ს „ჯვარი“ - ქ/ს „ხორგა“ (~60კმ) და

არსებული 500კვ. ეგზ კავკასიონის შეჭრა ქს-ში „ჯვარი“ (8 კმ) - შესრულებულია სამუშაოების 45-50%;

- 220/110 კვ ეგზ ბათუმი-ახალციხის მშენებლობა - შესრულებულია სამუშაოების 74%; 110 კვ. ეგზ „ხუდონის“ რეკონსტრუქცია - დასრულდა.

საქართველოს კანონმდებლობის 1994 წლის 30 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/22/EC დირექტივასთან „ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების შესახებ“ დაახლოების მიზნით, **ნავთობისა და გაზის მარეგულირებელ ეროვნულ წესებში შეტანილია ცვლილებები** ევროდირექტივა 94/22/EC პირობების შესაბამისად.

2018 წლის ბოლოს, **ენერგოეფექტურობის შესახებ შემუშავებული კანონის პროექტი** მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნებით, ასევე განახლდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის პროექტი მიმდინარე ცვლილებების ასახვის მიზნით.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით საქართველოში განხორციელდა: ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მარეგულირებელი სისტემის შემსწავლელი ინტეგრირებული მისია; საქართველოში იმყოფებოდა ინტეგრირებული ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის გეგმების (INSSP) შემფასებელთა მისია; საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს რიგით 62-ე გენერალურ კონფერენციასა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მინისტრიალში, ბირთვული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესახებ; საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორი იუკია ამანო.

2010/30/EU დირექტივაზე დაყრდნობით, მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი **"ენერგო ეტიკეტირების" შესახებ** და 2018 წლის 27 დეკემბერს მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. აღნიშნული კანონპროექტი წარმოადგენს ენერგო პაკეტის შემადგენელ ნაწილს. ამასთანავე, კანონპროექტის გარდა, 2018 წელს მომზადდა 8 ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, რომლებიც აუცილებელია კანონის სრულყოფილად ამოქმედებისათვის. 2018 წელს აღნიშნული დირექტივა შეიცვალა 2017/1369 რეგულაციით და 2019 წლის ბოლომდე დაგეგმილია კანონპროექტის ახალი რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

6.3 გარემოს დაცვა

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N1124 განკარგულებით დამტკიცდა 2017-2021 წლების გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (NEAP-3).

შემუშავდა **„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვერსია**. კანონპროექტი გაიგზავნა უწყებებში შენიშვნებისათვის და განთავსებულია

სამინისტროს ვებ-გვერდზე საჯარო განხილვისთვის. მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით შეტანილია ცვლილებები კანონპროექტის ტექსტში.

მომზადებულია "ბიომრავალფეროვნების შესახებ" კანონის პროექტი, რომლის წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის იგეგმება 2019 წელს.

შემუშავებულია "სახიფათო ქიმიური ნივთიერებებით ან ქიმიური ნარევეებით გამოწვეული მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ" საქართველოს კანონის სამუშაო ვერსია.

შემუშავებულია და განხილვის პროცესშია „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე ცვლილებათა კანონპროექტები, რომელთა წარდგენა დაგეგმილია პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე.

"ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის შესახებ" კანონპროექტებზე აქტი დამტკიცდა მთავრობის მიერ.

მომზადებულია "გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი.

„გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების შესახებ“ - მომზადებულია დადგენილების პროექტი საბოლოო სახით. დადგენილების პროექტის წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის დაგეგმილია 2019 წლის პირველ კვარტალში.

2018 წლის 11 მაისს ქ. თბილისში გაიმართა ეროვნული სემინარი ლურჯი ეკონომიკის თემაზე. სემინარზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით ევროპელმა ექსპერტებმა შეიმუშავეს ანგარიში, რომელშიც ასახულია ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებული ეროვნული პრიორიტეტები. სემინარის შედეგების შესაბამისად მიმდინარეობს საზღვაო მმართველობის კუთხით ქვეყნის შეფასების დოკუმენტის სრულყოფა. გარდა აღნიშნულისა, სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო 8 ნოემბერს ქ. ბრიუსელში ჩატარებული ტექნიკური დახმარების პროექტის „დახმარება შავ ზღვაში ლურჯი ეკონომიკის განვითარებისათვის“ ხელმძღვანელი ჯგუფის მე-4 შეხვედრაში. შეხვედრის მიზანი იყო, 2018 წლის 31 მაისს ქ. ბურგასში (ბულგარეთი) გამართულ საზღვაო საკითხებზე შავი ზღვის აუზის ქვეყნების მინისტრიალის შემდეგ მიღწეული პროგრესის განხილვა; ასევე, საერთო საზღვაო სტრატეგიის დამტკიცება 2019 წელს.

შეიქმნა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა, რომლის ფარგლებში განვითარდა სამი მოდული: კლიმატის ცვლილება, გაუდაზნოება და ბიომრავალფეროვნება. ამასთანავე, შეიქმნა სისტემის ვებპორტალი, მობილური აპლიკაცია (IOS და Android პლატფორმაზე) და ბილინგის სისტემა.

მომზადებულია "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტი.

მომზადდა კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030 წინასწარი სამუშაო ვერსია სატრანსპორტო სექტორისათვის.

დაიწყო პროექტი - „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეორე ორწლიანი განახლებული ანგარიშის (BUR) შემუშავება“. მომზადდა "ორწლიანი განახლებული ანგარიშის" სამუშაო ვერსია, რომელიც მოიცავს: 2014-2015 წლებისათვის სათბური გაზების ინვენტარიზაციის ანგარიშს, ეროვნული თავისებურებების, შერბილების ქმედებებისა და მათი ეფექტების, გაზომვის, ანგარიშებისა და დადასტურების (MRV) თავებს."

დაიწყო პროექტი - „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების შემუშავება“. მომზადდა პროექტის სამოქმედო გეგმა.

შემუშავებულია "სამთო-მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ" საქართველოს კანონის სამუშაო ვერსია.

6.4 სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება

2018 წელს აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში გაიცა 12,574 პოლისი. დაზღვეული მოსავლის ფართობი შეადგენს 11,557ჰა-ს, დაზღვეული მოსავლის ღირებულება - 85,781,348 ლარს. სააგენტოს გადასახდელი წილი სადაზღვეო პრემიაში შეადგენს 4,474,889 ლარს.

2018 წელს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიცა 3,542 სესხი, აქედან 3,538 სესხი - 237,911,418 ლარის და 4 სესხი - 357,380 აშშ დოლარის ოდენობით.

გადამამუშავებელ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტით დაფინანსებულ ახალგახსნილ საწარმოებში დაინერგა სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების და სისტემების (HACCP და ISO22000:2005) თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდოლოგიები. ISO 22000-ის დანერგვის მიზნით გაფორმებულია 2 ახალი ხელშეკრულება. ISO 2200 სერტიფიკატი მიიღო 8 საწარმომ.

განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი. პროექტის ფარგლებში, 2018 წელს დაფინანსდა 13 პროექტი (საწარმო), აქედან 5 - გადამამუშავებელ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში, ხოლო 8 - შემნახველ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში. ჯამურმა ინვესტიციამ შეადგინა 17,006,440 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენდა - 6,616,384 ლარს.

2018 წელს რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთო 10 ს/ს კოოპერატივი, თითოეულს გადაეცა 100 ტონა რძის გადამამუშავებისათვის და ნედლი ყველის დამზადებისათვის საჭირო აღჭურვილობა; დაფინანსდა მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთული 10 ს/ს კოოპერატივი, რომელთაც გადაეცათ 100 ტონა ყურძნის გადამამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა; მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკში დასასრულს უახლოვდება თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა და მიმდინარეობს მისი აღჭურვა; მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უკანაფშავის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფხოში დასასრულს უახლოვდება რძის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, ასევე მიმდინარეობს მისი აღჭურვა; მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერის სახელმწიფო პროგრამაში გამოვლინდა 2 გამარჯვებული, რომელთაც 2019 წელს გადაეცემათ ჯამში 3 მისაბმელი სკების ტრანსპორტირებისათვის.

ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა - დანერგე მომავალი, რომლის ფარგლებშიც 2018 წელს 294 ბენეფიციარს დაუმტკიცდა 302 გასაშენებელი ბაღის პროექტი, ბაღების ჯამურმა ფართობმა შეადგინა - 2,053 ჰექტარი; ინვესტიციის მოცულობამ - 21,781,525 ლარი, საიდანაც სსიპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენდა 11,923,235 ლარს. ხილის მწარმოებელ რეგიონებში გაშენებულია ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ბაღები, შექმნილია მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობები, გაზრდილია ხილის გადამამუშავებელი მრეწველობის ნედლეულის ბაზა. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში 294 ბენეფიციარს დაუმტკიცდა 302 გასაშენებელი ბაღის პროექტი.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, გაფორმდა 16 ხელშეკრულება, სარეაბილიტაციო პლანტაციების ფართობი შეადგენს 325 ჰექტარს. რეაბილიტაციის ჯამური ღირებულება - 813,609 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 557,256 ლარს.

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამის (IFAD) ფარგლებში, დამტკიცდა 321 პროექტი, მათ შორის 50 პროექტი დაუმტკიცდა 48 ქალ ბენეფიციარს. პროექტების ჯამური ინვესტიცია შეადგენს 14,667,491 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 5,798,469 ლარი.

ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამის ფარგლებში, გაფორმდა 115 ხელშეკრულება, მათ შორის, ხელშეკრულება გაუფორმდა 40 ქალ ბენეფიციარს. პროექტების ჯამური ინვესტიცია შეადგენს 12,789,979 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა - 4,979,940 ლარი.

6.5 დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

2018 წლის განმავლობაში, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის თანამონაწილეობითა და ორგანიზებით ჩატარდა დასაქმების 12 ფორუმი: 8 თბილისში, 1 რუსთავში, 1 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში და 2 - ბათუმსა და თელავში. ფორუმებში მონაწილეობა მიიღო 234 დამსაქმებელმა და 2317 სამუშაოს მაძიებელმა, დასაქმდა 361 პირი.

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემაში 2018 წელს 782 დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ იქნა 8932 ვაკანტური სამუშაო ადგილი. საშუალოდ მომსახურების შედეგად დასაქმდა 482; მხარდაჭერითი დასაქმების ფარგლებში (შშმ პირები) – 35; სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო და შემდგომ დასაქმდა 29 სამუშაოს მაძიებელი. (მათ შორის 2017 წლის პროგრამით - 15).

სულ, 2018 წელს, დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის ფარგლებში, დასაქმდა 905 სამუშაოს მაძიებელი, აქედან 76 შშმ პირი. 2018 წელს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა“ წარმატებით დაასრულა 2574 ბენეფიციარმა, (თბილისის მასშტაბით 1193, რეგიონებში - 1381). 2018 წელს, აღნიშნული პროგრამის მოსარგებლეთაგან დასაქმებულია 527 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, თბილისი - 223; რეგიონები - 304; აქედან 9 შშმ პირი. ამასთანავე, ამავე პროგრამის 2016-2017 წლების კურსდამთავრებულთაგან 2018 წელს დასაქმდა 362 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 1 შშმ პირი.

2018 წელს, სატაჟირების კომპონენტის ფარგლებში, დასაქმდა 79 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 12 შშმ პირი. 2017 წლების სტაჟირებაში ჩართული ბენეფიციარებიდან 2018 წელს დასაქმდა 15 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 1 შშმ პირი. სულ, 2018 წელს, „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 983 მოსარგებლე, აქედან 23 შშმ პირი.

2018 წელს, „დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში, დაფინანსდა 44 დევნილი.

2018 წლის დეკემბერში საფრანგეთმა მოახდინა საქართველოსა და საფრანგეთს შორის ცირკულარული მიგრაციის თაობაზე ორმხრივი ხელშეკრულების რატიფიცირება, რის საფუძველზეც შეიქმნა საქართველოსა და საფრანგეთს შორის საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების მექანიზმი. აგრეთვე, შრომითი მიგრაციის სფეროში ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით, მომზადდა შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტი პოლონეთთან; პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ისრაელთან და ევროპის რიგ ქვეყნებთან - საბერძნეთი, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ლიეტუვა, ესპანეთი, პორტუგალია, ბულგარეთი, ესტონეთი, რომელთაგან ზოგიერთმა უკვე გამოთქვა თანამშრომლობის მზაობა.

2018 წლის 21 მარტს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. კანონი ვრცელდება მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე.

2018 წლის აპრილში შრომით მედიატორებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწვეული და ადგილობრივი ექსპერტების მიერ ჩაუტარდათ ტრენინგი. 2018 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 6 შრომითი დავა. ყველა მათგანზე დაინიშნა დავის მედიატორი. სამი დავა დასრულდა შეთანხმებით.

2018 წლის 19 აპრილს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რიგგარეშე მეოთხე სხდომაზე დამტკიცდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა. სხდომა ჩატარდა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მოთხოვნით ტყიბულის მინდელის სახელობის შახტაში დასაქმებულ პირთა სოციალური შეღავათებისა და შახტებში შრომის უსაფრთხოების საკითხების განსახილველად.

რეგიონულ დონეზე სოციალური პარტნიორობის განვითარების მიზნით, შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია. (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 24 აპრილის დადგენილება N10).

"შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2018 წელს ინსპექტირება ჩატარდა 216 ობიექტზე. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით შემოწმდა 90-მდე კომპანია.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილების „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ“ შესაბამისად, 2018 წელს შემოწმდა 154 საწარმო/ორგანიზაცია ტრეფიკინგის პრევენციის, მათ შორის, ბავშვთა შრომის გამოვლენის მიზნით. შემოწმების განხორციელების ეტაპზე შრომითი ურთიერთობის სუბიექტებს მიეწოდათ ინფორმაცია ბავშვთა შრომის აღმოფხვრის მიმართულებით.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, 2018 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში შესულია 3088 შეტყობინება, რომელთაგან 1377 არის ბავშვზე ძალადობის, ხოლო დანარჩენი - საპროცესო წარმომადგენლობის შემთხვევები. რეაგირება განხორციელდა ძალადობის ყველა შემთხვევაზე, დადასტურდა 527 შემთხვევა, 241 ფაქტზე მიმდინარეობს მოკვლევა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან“ თანამშრომლობითა და ესტონეთის საელჩოს დაფინანსებით, 2018 წლის 15 ივლისს და 21 ივლისს თბილისში, შსს აკადემიაში, ჩატარა ტრენინგი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების საკითხებზე. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა შსს-ს 31 თანამშრომელი.

ალტერნატიულ სერვისებში გადაყვანისას ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, 2018 წელს მინდობით აღზრდაში განთავსდა 259 ბავშვი, მათ შორის, ჩვილ ბავშვთა სახლიდან - 8; მინდობითი აღზრდიდან გაშვილდა 44 ბავშვი, ხოლო ჩვილ ბავშვთა სახლიდან - 3. რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩაერთო 123 არასრულწლოვანი, მათ შორის 23 ბავშვი მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან. 2018 წელს მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩაირიცხა 125 ბავშვი. 2018 წელს ამოქმედდა მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მეორე მომსახურება, სადაც ქ. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლიდან ჩაირიცხა 7 აღსაზრდელი. შშმ პირთა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირების კუთხით მოცემულ ეტაპზე ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა „შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგიისა და სისტემის პილოტირების სამოქმედო გეგმა“. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ICF-ის ექსპერტებთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად, ზრდასრული შშმ პირების შეფასებისთვის შერჩეულ იქნა ინსტრუმენტი - Disability Assessment Schedule 2.0 (WHODAS 2.0) და საპილოტე რეგიონი - აჭარა.

დასრულდა ფუნქციური შეფასების სპეციალისტებისა და შემთხვევის მართვის მენეჯერების ტრენინგები და მათი შერჩევის პროცესი.

დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა მხარდაჭერის გაგრძელების მიზნით განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია (136-მა დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ და 69 ოჯახის წევრმა), ორთოპედიული მომსახურეობა, სოციალური კუთხით მხარდაჭერა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა. 2018 წელს 1531 დევნილ ოჯახს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ფართი. წლის განმავლობაში, სხვადასხვა განსახლების პროგრამების ფარგლებში, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იყო 1516 დევნილი ოჯახი. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი 26 ნგრევადი ობიექტი იყო დახურული და ალტერნატიული საცხოვრებელი გადაეცა 343 დევნილ ოჯახს.

6.6 სამოქალაქო უსაფრთხოება

2018 წლის 27 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ევროკავშირისა და ნატოს ექსპერტების მიერ დადებითად შეფასებული საკანონმდებლო პაკეტი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“.

ახალი საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განვითარებასა და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრალიზებული პროფესიული მოდელის ჩამოყალიბებას. ახალი საკანონმდებლო პაკეტის მიხედვით, დაინერგა საგანგებო სიტუაციების მართვის ორდონიანი სისტემა: ადგილობრივი და ეროვნული. ასევე დაგეგმილია მოხალისეთა ორგანიზებული სისტემისა და ალტერნატიული სამხედრო

სამსახურის ჩამოყალიბება, ექსპერტთა მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭოს შექმნა, სახანძრო ზედამხედველობის თანამედროვე სისტემის დანერგვა, რისკების მართვისა და ანალიზის ერთიანი სისტემის შექმნა.

2018 წლის 13 ივლისს ხელი მოეწერა საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს (DG ECHO) შორის **კატასტროფების რისკის მართვის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებას**.

საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საქართველოს გაფორმებული აქვს **სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულება და მემორანდუმი, მათ შორის ხელმოწერილია:**

1. იაპონიის მთავრობასთან (საგრანტო ხელშეკრულება) (14 მარტი, 2018 წ.);
2. პოლონეთის მთავარ სახანძრო სკოლასთან (საგრანტო ხელშეკრულება) (8 ივნისი, 2018 წ.);
3. ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატთან (DG ECHO) (13 ივლისი, 2018 წ.);
4. თურქეთთან AFAD (17 ივლისი, 2018 წ.);
5. საქართველოს მთავრობასა და იერუსალიმის, როდოსისა და მალტის წმინდა იოანეს სუვერენული სამხედრო ჰოსპიტალიერთა ორდენის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათზე მზადყოფნისა და რეაგირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი (22 ოქტომბერი, 2018 წ.);
6. საქართველოს მთავრობასა და კატასტროფის მართვის ქვეყნის ჯგუფს (DMCT) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი (16 აგვისტო, 2018 წ.);
7. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს (DG ECHO) შორის ადმინისტრაციული შეთანხმება (13 ივლისი, 2018 წ.).

2018 წლის 1 აგვისტოს შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასწავლო ცენტრი.

2018 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა დონორთა საკოორდინაციო კონფერენცია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, რომელზეც განიხილეს სამოქალაქო უსაფრთხოების ახალი სისტემა საქართველოში, სახელმწიფო უწყებებს შორის საგანგებო სიტუაციების დროს კოორდინირებული მუშაობა და ერთობლივი სამოქმედო გეგმა. კონფერენციას სამოქალაქო უსაფრთხოების სექტორში მომუშავე უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სსმს-ში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტია **PPRD-East 2**.

2018 წლის 6 ივლისს ქ. თბილისში, ევროკომისიის DG ECHO-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა საველე სამეთაურო სწავლება Caucasus 2019 წლის პირველი დამაგეგმარებელი შეხვედრა.

საველე სწავლება Caucasus 2019 წარმოადგენს DG ECHO-ს პროექტს, რომლის მიზანია ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის სისტემის პროცედურების დახვეწა და მასთან დაახლოება. პროექტის მონაწილე ქვეყნები არიან საფრანგეთი, ესპანეთი და სომხეთი.

6.7 ჯანმრთელობის დაცვა

2018 წლის მდგომარეობით ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ანტიმიკრობული რეზისტენტობის ზედამხედველობის (CAESAR) ქსელში ჩართულია 20 ეროვნული მიკრობიოლოგიური ლაბორატორია. ეროვნულ დონეზე გროვდება მონაცემები სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების გამომწვევ პათოგენთა ანტიბიოტიკების მიმართ მგრძობელობის შესახებ და აღნიშნული მონაცემები იგზავნება CAESAR-ის ქსელში და გლობალური ანტიმიკრობული რეზისტენტობის ზედამხედველობის სისტემაში (GLASS).

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 მარტის N120 დადგენილებით, ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში, რომლის შესაბამისად, სტაციონარული მომსახურების (გარდა დღის სტაციონარისა) მიმწოდებლები 2018 წლის 10 მარტიდან ვალდებული არიან ჰოსპიტალიზებული ყველა პაციენტისათვის C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით დადებითი შედეგის მიღების შემთხვევაში უზრუნველყონ მათი შემდგომი კონფირმაციული კვლევისათვის საჭირო სისხლის ნიმუშის აღება.

2018 წლიდან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მიმდინარეობს C ჰეპატიტის, აივ-ინფექციისა და ტუბერკულოზის პირველადი ჯანდაცვის დონეზე ინტეგრირებული სკრინინგის პილოტური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს C ჰეპატიტის, აივ ინფექცია/შიდსის და ტუბერკულოზის დროულ გამოვლენას და “ერთიანი ქუდის ქვეშ” მართვას.

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს „უსაფრთხო სისხლისა“ და „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიღებული C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი ნიმუშების კონფირმაციულ კვლევას 2018 წლის 1 იანვრიდან.

შემუშავდა და დამტკიცებულ იქნა აივ ინფექცია/შიდსისა და ტუბერკულოზის მართვის განახლებული ეროვნული სტრატეგიები შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 2018 წლის ივლისის სხდომაზე.

ორგანოთა გადანერგვის სფეროში ევროდირექტივების იმპლემენტაციის მიზნით, 2018 წლის 1-5 ოქტომბერს, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის

ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში, განხორციელდა ხორვატი ექსპერტების მისიის ვიზიტი საქართველოში (67115 TAIEX Expert Mission on Harmonisation of the National Legislation on Organ Transplantation with the EU Legislation), ეროვნული კანონმდებლობის შეფასების უზრუნველსაყოფად. მისიის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მომზადდა სამოქმედო გეგმა და დაინტერესებული მხარეების (სამინისტროს ტრანსპლანტაციის საბჭო, საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია) მონაწილეობით მიმდინარეობს მუშაობა ორგანოთა გადანერგვის სფეროში კანონმდებლობის განახლების მიმართულებით.

2018 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტმა თამბაქოს კონტროლის კანონში ცვლილებების პაკეტი დაამტკიცა, რომელიც ძალაში ეტაპობრივად შედის, მათ შორის, დიდი ნაწილი 2018 წლის 1 მაისიდან და 1 სექტემბრიდან. ცვლილებების თანახმად, სხვა რიგ მნიშვნელოვან რეგულაციებთან ერთად, აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის (მათ შორის ნიკოტინის ელექტრონული მიწოდების მოწყობილობების) მოხმარება საზოგადოების თავშეყრის დახურულ სივრცეებში, სრულად აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის რეკლამირება, სპონსორობა და პოპულარიზაცია, შემოღებულ იქნა თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობისა და შეფუთვის ახალი წესები, დარეგულირდა თამბაქოს ინდუსტრიის მხრიდან ჯანდაცვით გადაწყვეტილებებში ჩაურევლობის ვალდებულება, შემოღებულ იქნა თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის რეგულაცია (2023 წლიდან) და ნიკოტინის და არანიკოტინის მიწოდების ელექტრონული მოწყობილობების თამბაქოს ნაწარმის მსგავსი რეგულაციები.

6.8 თანამშრომლობა ინოვაციის სფეროში

უცხოურ ბაზარზე შეღწევის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს გაფორმდა **8 მემორანდუმი** შემდეგ ორგანიზაციებთან: კორეის ტექნოპარკების გაერთიანება (კორეა), ფრანკ ჯგუფი (ისრაელი), მინსკის ქალაქის ტექნოპარკი (ბელარუსი), ტექნოლოგიური მეწარმეობის გაერთიანება (პოლონეთი), ბაქოს ბიზნეს ქარხანა (აზერბაიჯანი), Ex-Easy Network & Technology (ჩინეთი), COTEC (Innovation Technology Foundation) (იტალია), startup Lithuania (ლიტვა).

2018 წელს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, სააგენტოს ორგანიზებით, თბილისის ტექნოპარკის ბაზაზე ჩატარდა 150-მდე ღონისძიება, მათ შორის “Global Entrepreneurship Week”, “EUDIG 2018”, “Women in Science”, 10 კრეათონი/ჰაკათონი და სხვ. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების თემაზე მომზადდა: 175 სატელევიზიო გადაცემა; ონლაინ მედია 370 (ბეჭდვა და გაშუქება). 5000 ლარამდე მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსებულია 51 სტარტაპი, საერთაშორისო ღონისძიებაზე მონაწილეობის მიზნით.

განხორციელებულია ინოვაციური და ტექნოლოგიური საგრანტო პროგრამები, მათ შორის 5000 ლარამდე მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 2018 წელს დაფინანსდა 98 პროექტი. პროტოტიპირება - 19; ღონისძიების ორგანიზება - 28; სამგზავრო-51. ბიუჯეტი: 360318.54 ლარი; შემუშავდა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი

Crowdfunding-ის სისტემის გასაუმჯობესებლად. ცვლილებების პაკეტი ამჟამად განსახილველად მიწოდებულია საქართველოს ეროვნული ბანკისთვის.

USAID G4G მიერ შემუშავებულ იქნა ინოვაციების სტრატეგია 2025. ამჟამად მიმდინარეობს დოკუმენტის თარგმნა და გადაეგზავნება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასამტკიცებლად. გაიხსნა რუხის და ახმეტის ინოვაციების ცენტრები და თელავის ტექნოპარკი. მიმდინარეობს ბათუმის ტექნოპარკის სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები.

6.9 თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში

2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/22/EC დირექტივის (უნივერსალური მომსახურების შესახებ) შესაბამისად, **საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების მიზნით, მომზადდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა.**

საქართველოს კანონმდებლობასა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივას (2002/58/EC), ავტორიზაციის შესახებ დირექტივას (2002/20/EC), დაშვების შესახებ დირექტივას (2002/19/EC) და ჩარჩო დირექტივას (2009/140/EC) შორის არსებული შეუსაბამობების გათვალისწინებით, საქართველოს კანონში **„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ მომზადებული ცვლილებების პროექტი** გაგზავნილია ევროკომისიაში საბოლოო დასტურისათვის.

6.10 თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში

2010 წლის 10 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EU დირექტივასთან (აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებითა ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ (აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივა) (გარდა 23-ე მუხლისა)) **დაახლოების მიზნით, საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“ მომზადებული ცვლილებების პროექტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს.**

6.11 ხალხთა შორის კონტაქტები, განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

2018 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი **„კანონი პროფესიული განათლების შესახებ“**, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის ოქტომბერში.

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების მიზნით **დამტკიცდა 13 ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს 17 პროფესიულ კვალიფიკაციასა და ეფუძნება 58 პროფესიულ სტანდარტს.**

ბავშვის ჰოლისტური განვითარებისა და სასკოლო მზაობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული და დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის №97/ნ ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, 601 სკოლამდელი განათლების მეთოდისტიდან/სპეციალისტიდან, 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, გადამზადებულია 300 სპეციალისტი.

2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 356 სსსმ სტუდენტი, სადაც შექმნილია მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისები და საგანმანათლებლო რესურსები.

2018 წელს „მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობითი მსჯავრდებული) პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, ჩაერთო 1000-მდე ბენეფიციარი.

დასრულდა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "იბერია" საერთო საცხოვრებლის მშენებლობა და განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური აღჭრევა. საერთო საცხოვრებელი გათვლილია 80 სტუდენტზე.

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის მონაცემებით, დანერგილია 23 დასახელების დუალური პროგრამა აგრარული, ტურიზმის, სარკინიგზო ტრანსპორტის, მშენებლობისა და ინჟინერიის მიმართულებით. მოდულური და დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის საბიუჯეტო ქვეპროგრამის ფარგლებში, წლის დასასრულისთვის პროფესიული განათლების სივრცეში ჩაშვებულია 27 დასახელების 38 პროგრამა; 2018 წლის საგაზაფხულო მიღებაზე დაინერგა დამატებით 3 დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სარკინიგზო ტრანსპორტის განხრით.

2018 წლის Erasmus+ პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგების შესაბამისად, დაფინანსდა ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/ex-Tempus) 5 ახალი პროექტი, Jean Monnet-ს ერთი ახალი პროექტი. 21-მა სტუდენტმა მიიღო სტიპენდია ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებზე. ორი ქართული უნივერსიტეტი გახდა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ასოცირებული პარტნიორი. გაცვლით პროგრამებში დაფინანსდა 1802 სტიპენდია (1105 საქართველოდან ევროპაში და 697 ევროპიდან საქართველოში). ამ მონაცემებით საქართველო Erasmus+ პროგრამაში მონაწილე 131 ქვეყანას შორის მე-8 ადგილზეა.

Erasmus+ პროგრამის ახალგაზრდობის მიმართულებით დაფინანსებულია სამინისტროსა და მისი სააგენტოების მონაწილეობით სამი პროექტი, რომელთა მიზანია მუნიციპალიტეტებში

ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერა და სოციალური მეწარმეობა შშმ ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციისთვის. ასევე, EU4Youth პროგრამის ფარგლებში ხორციელდება „სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის პროექტი“.

არასამთავრობო ორგანიზაციის „დრონი“ ბაზაზე ფუნქციონირებს Erasmus+ ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრი, რომელმაც საანგარიშო პერიოდში საქართველოში დაფუძნებული ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდებისათვის ჩაატარა 40 საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში; შეიქმნა ვებგვერდი: www.erasmusplusyouth.inf და ითარგმნა პროგრამის სახელმძღვანელო.

2018 წლის პირველ ნახევარში „ჰორიზონტი 2020“-ის გამოცხადებულ კონკურსებში, საქართველოს მონაწილეობით, შეტანილ იქნა 39 საპროექტო წინადადება, რომლიდანაც დაფინანსება მოიპოვა 3 პროექტმა, ჯამური ბიუჯეტით - 616,625.00 ევრო.

2018 წლის ივლისში, „ევროპის თანამშრომლობა მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში“(COST) ასოციაციასთან ერთად, ჩატარდა საინფორმაციო დღე "COST Actions", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ასოციაციის პრეზიდენტმა და თანამშრომლებმა. COST-ის 15 აქციაში მონაწილეობას იღებენ ქართველი მკვლევარები. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაერთო NET4Mobility-ის პროექტში, რომელიც ითვალისწინებს მარი სკოლოდოვსკა კიურის აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას.

ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების ეფექტიანი მექანიზმების შექმნა-განვითარების მიზნით, 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ იქნა 9000 -მდე გადაწყვეტილება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე.

აღმოსავლეთ პარტნიორობის „2020 შედეგი 2020 წლისთვის“ დოკუმენტის შესაბამისად, დაარსდა საქართველოში აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა, რომელიც პირველ ეტაპზე კერძო სკოლის - "ახალი სკოლა" - ბაზაზე იმუშავებს. 2018 წლის გაზაფხულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგად, 2018-2019 სასწავლო წლებისთვის ევროკომისიამ 156 აპლიკანტიდან შეარჩია 30 მოსწავლე აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნიდან: სომხეთი - 4 მოსწავლე, აზერბაიჯანი - 2, ბელარუსი - 4, საქართველოს - 8, მოლდოვა - 5, უკრაინა - 7.

2018 წელს პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ გამოცხადებულ კონკურსებში საქართველოს მონაწილეობით შეტანილ იქნა 30 საპროექტო წინადადება, რომლიდანაც დაფინანსება მოიპოვა 10-მა პროექტმა, ჯამური ბიუჯეტით - 461 868.61 ევრო.

ინკლუზიური განათლების მიღების საშუალებების გაზრდის კუთხით, 2018 წელს დასრულდა სრულად ადაპტირებული 23 საჯარო სკოლის მშენებლობა (1 სკოლა ქ. თბილისში, 22 -

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში), აგრეთვე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 საჯარო სკოლას.

მასობრივი სპორტის სტრატეგიის განვითარების მიზნით შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტი. ასევე შემუშავებულია **სპორტის სახელმწიფო დოკუმენტი 2020-2030** წლებისათვის.

სპორტული ინფრასტრუქტურის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემდგომი ეტაპის განხორციელების ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით **აშენებულია 3 სპორტის სასახლე და 10 სპორტული მოედანი.**

საქართველო აქტიურად მონაწილეობს კულტურის სფეროს მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში, რის შედეგადაც გაზრდილია ქართული ხელოვნების შემოქმედებითი პოტენციალი, ქვეყნის იმიჯი და საერთაშორისო ცნობადობა.

6.12 რეგიონული განვითარება

2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ. პროგრამის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე.

5-მდე ნაგავსაყრელის დახურვის და შემდგომი მოვლა-პატრონობის შესახებ პროექტის განვითარების და განხორციელების მიზნით დოკუმენტი წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

შესაბამისი გეგმის მიხედვით დაიხურა 2 ნაგავსაყრელი. ამასთან, ნაგავსაყრელების შესაბამისობაში მოყვანის 27 გეგმა შეთანხმდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. იგეგმება ერთი **რეგიონული ნაგავსაყრელის მოწყობა**, რომლის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2018 წლის დეკემბერში.

7. ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი

ევროკავშირის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისთან (OLAF) აქტიური კონსულტაციების საფუძველზე ჩამოყალიბდა შესაბამისი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ასოცირების შეთანხმების VII კარის (ფინანსური დახმარება და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის შესახებ დებულებები) შესაბამისად საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას.

ევროკავშირის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისთან (OLAF) კომუნიკაციის მიზნით განისაზღვრა **ერთიანი საკონტაქტო სტრუქტურა (საქართველოს პროკურატურა).**

ასოცირების შეთანხმების VII კარის დებულებებთან დაახლოების მიზნით ჩატარდა საქართველოს კანონმდებლობის ასოცირების შეთანხმების შესაბამის კონვენციებთან შესაბამისობის ანალიზი.

8. ინსტიტუციური თანამშრომლობა

8.1 ინსტიტუციური ჩარჩო

2018 წლის 26 ივნისს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეოთხე სხდომა. კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, მათ შორის, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, რეგიონული განვითარება, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება და კულტურა.

21 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში შედგა პირველი მაღალი დონის შეხვედრა ევროკავშირთან სექტორული თანამშრომლობის საკითხებზე.

2018 წელს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის თემატური ჯგუფების სხდომები:

- **2018 წლის 22 მარტს** ქ. ბრიუსელში გაიმართა თემატური ჯგუფის „სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა; რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე“ მესამე სხდომა;
- **2018 წლის 19 აპრილს** ქ. თბილისში გაიმართა თემატური ჯგუფის „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები; საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მესამე სხდომა;
- **2018 წლის 29 მაისს** ქ. ბრიუსელში გაიმართა თემატური ჯგუფის „თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში; თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში; თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში; განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა; კულტურის სფეროში თანამშრომლობა; თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში“ მესამე სხდომა;
- **2018 წლის 7 ივნისს**, ქ. ბრიუსელში, გაიმართა თემატური ჯგუფის „სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; ტურიზმი; კორპორაციული სამართალი და კორპორაციული მმართველობა; მომხმარებელთა პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა“ მესამე სხდომა.
- **2018 წლის 16 ოქტომბერს**, ქ. ბრიუსელში ჩატარდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-3 თემატური ჯგუფის - „ენერჯეტიკა; გარემო; კლიმატი; ტრანსპორტი; და სამოქალაქო დაცვა“ რიგით მეოთხე სხდომა;

8.2 სტრატეგიული კომუნიკაცია

შემუშავდა „2017-2020 წლებისთვის ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ 2018 წლის ანგარიში და მეთოდოლოგია. ასევე, მომზადდა 2019 წლის სამოქმედო გეგმა.

14-15 ივნისს ჩატარდა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“, რომელსაც დაესწრო 300-ზე მეტი მონაწილე.

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის მესამე ტალღის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა მრავალი საინფორმაციო ღონისძიება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. საინფორმაციო კამპანიის მთავარი მიზანია საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის/შენგენის წევრ სახელმწიფოებში თავშესაფრის პროცედურის ბოროტად გამოყენების შესაძლო შედეგების შესახებ.

2018 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს საერთაშორისო მისიებში (ნატო და ევროკავშირი) მონაწილეობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, მათ შორის მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების ჩართულობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველო-ევროკავშირის სამუშაო გეგმის ფარგლებში 2018 წლის თებერვლის თვიდან თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, სხვა სახელმწიფო სტრუქტურების სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურებთან ერთად, სარგებლობს ევროკავშირის მედია მონიტორინგის პლატფორმით.

8.3 სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის“ წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები. მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა 2018 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.